აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

ოქმი № 01

ქ.აბაშა უჩა კაჭარავას #1 16 თებერვალი 2023 წელი.

სხდომას ესწრებოდა აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. გოჩა ხურცილავა - აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე .
2. ტატიანა ხოშტარია - აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.
3. ქსენია კაჭარავა - აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.
4. ნანა კუცია - აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.
5. მამუკა თელია - აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.
6. ნათია მელია - აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.
7. ლევან დუნდუა - აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

მომხსენებელმა, გოჩა ხურცილავამ გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ , საბჭოს წევრებს წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხი:

1. **ახლად დამტკიცებული მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამუშაო გეგმიდან გამომდინარე საბჭოს წევრებზე ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განაწილების შესახებ.**

მომხსენებელი გოჩა ხურცილავა

აბაშის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის გოჩა ხურცილავას ინფორმაცია საბჭოს წევრებზე ფუნქციებისა და უფლება მოვალეობების გადანაწილების შესახებ. საბჭო კოლეგიალური ორგანოა და გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრის პრინციპის შესაბამისად, უმრავლესობით. მუშაობის პრინციპებიდან გამომდინარე საჭიროდ ჩაითვალა საბჭოს წევრებზე უფლებამოსილებების გადანაწილება:

საბჭოს მდივანი, სხდომის ოქმს ვებგვერდზე განთავსებისათვის გადასცემს საბჭოს წევრ ნათია მელიას , რომელიც ვალდებულია ზემოთხსენებული ინფორმაცია აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა, საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს ნათია ჩოჩიას მიაწოდოს ვებგვერდზე განთავსებისათვის. საჭირო ტრენინგებისათვის ტრენერთა მოწვევასა და მათ შერჩევას შეითავსებენ საბჭოს წევრები გოჩა ხურცილავა ტატიანა ხოშტარია, მამუკა თელია. ფინანსური უზრუნველყოფისა და ფინანსური მართვის საკითხები დაევალა კომისიის წევრ ნანა კუციას. აუცილებელი და გადაუდებელი საკითხების განხილვასა და მომზადებაში მონაწილეობას მიიღებს საბჭო სრული შემადგენლობით. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იქნება საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. საბჭოს მომდევნო სხდომებზე კვარტლების მიხედვით გაგრძელდება წევრებზე სხვა უფლებამოსილებების გადანაწილება. მომდევნო სხდომა მოწვეულ იქნას მარტის თვის ბოლო კვირას.

მომხსენებელი: **გოჩა ხურცილავა**

აბაშის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გოჩა ხურცილავა:

ტატიანა ხოშტარია :

ქსენია კაჭარავა :

ნანა კუცია :

მამუკა თელია :

ნათია მელია :